MES 7 20 0000979834

12/10/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 28 სექტემბერს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/84192587081

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი (საბჭოს თავმჯდომარე);
მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, საბჭოს მდივანი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;
გიორგი ტრაპაიძე - სს ,,ენერგო - პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;
ნატო ქიტიაშვილი - სს ,,საქართველოს უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის მოადგილე;
ნოდარ მამინაიშვილი - ა(ა)იპ - არაფორმალური განათლების ახალგაზრდულ ცენტრ ,,მზიანი სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
საბა ელაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“:

ნოდარ ხარაზიშვილი - დირექტორი;
თამარ გიორგობიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი;
მაია ომიაძე - იურისტი.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,ფანასკერტელი“:

შორენა ხაჭაპურიძე - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი (მინდობილობით)

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:

ქეთევან ბოტკოველი,
ვალერი ჯაჯანიძე,
თამარ რემიშვილი,
ნინო მაზმიშვილი,
თამილა გრძელიშვილი,
მზია ბაკურიძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:
1. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

2. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის „საოფისე საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;
5. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6.შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

1. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა. მან ისაუბრა პროგრამაზე - ,,მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ და აღნიშნა, რომ ის ექსპერტების მხრიდან შეფასებულია, როგორც სრულად შესაბამისი, სტანდარტების შესაბამისად. მისი თქმით, პროგრამის დასახელება არ არის შეცდომაში შემყვანი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის - ავტოსატრანსპორტო საშუალებების და სპეც-დანიშნულების ავტოსატრანსპორტო სერვისის საფუძველზე და მისი ერთ-ერთი კონცენტრაციაა. პროგრამას ჰყავს 20 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 8 არის ზოგადი, ხოლო 12 - პროფესიული მოდულებისთვის. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება პირადი საქმის მასალებით. პროგრამის ხელმძღვანელის პოზიცია კოლეჯში განსაზღვრულია დირექტორის ბრძანების მიხედვით, სადაც განსაზღვრულია ასევე მისი მოვალეობები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხარვეზი ვიზიტის დროს არ დაფიქსირებულა. ექსპერტების მიერ გაცემულ იქნა სამი განმავითარებელი რეკომენდაცია, რომელთაგანაც ერთ-ერთი ეხება პროგრამის ხელმძღვანელს. რამდენადაც პროგრამის ხელმძღვანელთან ხელშეკრულება დადებულია ერთი წლის ვადით, როტაციის პრინციპის გათვალისწინებით, ექსპერტთა მოსაზრებით, მსგავსი მიდგომა პროგრამის განხორციელების მდგრადობის თვალსაზრისით არ არის რელევანტური და ექსპერტების მიერ მიეცათ რეკომენდაცია, პროგრამის ხელმძღვანელის ვადა განისაზღვროს მინიმუმ პროგრამის ავტორიზაციის ვადით ან უვადოდ, შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით.

ქეთევან ბოტკოველის თქმით, კოლეჯის მისია განსაზღვრულია კოლეჯის თითოეული მსმენელისთვის სრულფასოვანი, დინამიური, ხარისხიანი პროფესიული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისთვის, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზართან ადაპტირებული კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას მათი შემდგომი დასაქმებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით. ექსპერტთა მოსაზრებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ კოლეჯის გადაწყვეტილება ეფუძნება კოლეჯის მისიას და როგორც დაწესებულების მიერ შემუშავებულ 7 წლიან განვითარების, ასევე ერთწლიან სამოქმედო გეგმასაც. გეგმებით განსაზღვრულია შრომის ბაზრის და სტანდარტების შესაბამისი პროგრამების ჩარჩო-დოკუმენტების შესაბამისი პროგრამების დანერგვა და პილოტირება. დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დოკუმენტი. ეს იყო ვრცელი ანგარიში, სადაც აღწერილი იყო ყველა ის აქტივობა, რაც დაწესებულებამ ამ მიმართულებით ჩაატარა. ესენია: სახელმწიფო პოლიტიკის ანალიზი სატრანსპორტო მიმართულებით, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები, სამიზნე ჯგუფებთან, სკოლის მოსწავლეებთან ჩატარებული შეხვედრები ინფორმირების მიზნით და მრავალი სხვა. 2018 -2019 წლებში ტრანსპორტის დარგში კოლეჯი ოთხ მსგავს საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებდა. ეს პროგრამები ფაქტიურად იდენტურია დღევანდელი პროგრამების, ესენი იყო: სავალი ნაწილების შეკეთება, ავტომობილის დიაგნოსტიკა და ავტომობილის შემკეთებელ ელექტრო-ტექნიკოსი. სავალი ნაწილის შეკეთების პროგრამის კურსდამთავრებულები საწარმოო პრაქტიკის გავლის შემდეგ დაასაქმეს ისეთმა წარმატებულმა კომპანიებმა, როგორიცაა: შპს ,,ლსლ და კომპანია“, შპს ,,ფრანს ავტო“, შპს ,,ვისოლ ავტო ექსპრესი“, შპს “თეგეტა მოტორსი“, შპს ,,მათემოტორსი“ და სხვა. კოლეჯის ერთ-ერთი კურსდამთავრებული ამ სპეციალობით საზღვარგარეთ დასაქმდა. ანგარიშში წარმოდგენილია მონაცემები კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ წლების მიხედვით, სადაც ჩანს, რომ 2015-2018 წელს კურსდამთავრებულთა უმეტესი ნაწილი (70-დან 61) დასაქმდა შესაბამისი კვალიფიკაციით. 2018 წლიდან, მას შემდეგ რაც საგნობრივი სწავლება შეიცვალა მოდულური მიდგომით, აღნიშნული პროგრამები კოლეჯში არ განხორციელებულა. თუმცა დამსაქმებელთა დიდმა ნაწილმა, მათ შორის ტექ-ინსპექტირების ცენტრმა ,,გრინვეიმ“, რომელმაც გლდანის კოლეჯის არაერთი კურსდამთავრებული დაასაქმა, თხოვნით მიმართა დაწესებულებას პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით. ექსპერტების ვიზიტის დროს საწარმოო ობიექტების ხელმძღვანელებმა, რომლებიც პოტენციური დამსაქმებლებიც არიან, გამოთქვეს კმაყოფილება მათთან დასაქმებულ კურსდამთავრებულებთან დაკავშირებით და აღნიშნეს ამ პროფესიაში კადრების ნაკლებობა.

პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის თვალსაზრისით, კოლეჯის მიერ პერიოდულად ქვეყნდება სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებში გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით. ასევე ინდივიდუალურად ხდება რეკომენდაციების გაწევა კურსდამთავრებულთათვის კონკრეტულ პოზიციაზე დასაქმების მოთხოვნის შესაბამისად. დაწესებულება ამ პროგრამისთვის და ზოგადად პროგრამისთვის განსაზღვრავს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას, რომელიც დამტკიცებულია

დირექტორის 2018 წლის 2 მაისის ბრძანებით და ამასთან დაკავშირებით ექსპერტების რეკომენდაცია იყო, რომ გამომდინარე იქედან, რომ მოცემული მეთოდოლოგიური რეკომენდაცია საერთოა ყველა პროგრამისთვის, სასურველია, განსაზღვრული იყოს, კონკრეტული პროგრამის განსახორციელებლად რა რესურსს დახარჯავს კოლეჯი. პროგრამის შემუშავების დასაბუთებაც შეესაბამება კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული პროგრამის მიხედვით სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის დაახლოებით 50% პროგრამის განაცხადის მიხედვით, არის კოლეჯის საკუთრებაში, ხოლო დარჩენილი მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. დამატებით, კოლეჯი გეგმავს შეისყიდოს შესაბამისი მატერიალური რესურსი და 2020 წლის 21 ივლისს გაფორმებული აქვთ შეთანხმება საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან იმ მიზნით, რომ სასწავლო პროცესი მომავალში სრულად იყოს გადმოტანილი კოლეჯის ბაზაზე. რაც შეეხება სასწავლო რესურსს, პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი შესაბამისი თემატიკის თანამედროვე ლიტერატურით.
კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები შემდეგ პრაქტიკის ობიექტებთან : შპს ,,ოტო მოტორს ჰოლდინგი“, შპს ,,ენეო სერვისი“, შპს ,,ჯი თი მოტორსი“, შპს ,,ავტოსერვისი დიდი დიღომი“, შპს ,,R მოტორსი“, შპს ,,კენტავრი“, შპს ,,მათე მოტორსი“, შპს ,,ფრანს მოტორსი“, რაც სრულად უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

გარდა ზემოთ თქმულისა, კოლეჯის ტერიტორიაზე აქტიურად მიმდინარეობს სასწავლო სახელოსნოს მშენებლობა, რაც განპირობებულია ტენდერის საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანიასთან ამხანაგობა „მოდერნ ბილდინგ გრუპს“ და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის 2020 წლის 15 ივლისს გაფორმებული #320702/02/03/90 ხელშეკრულებით, რომელიც მოქმედია 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ხოლო სამუშაოს შესრულების ვადაა 75 კალენდარული დღე. კონკრეტული მატერიალური რესურსის შესაძენად ატვირთული ინვოისების და თანხის მოთხოვნის საფუძველზე, 2020 წლის 21 ივლისს მიღწეულია შეთანხმება, რაც გულისხმობს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს და სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ შორის 2015 წლის 14 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელებას, კერძოდ სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ მიეცა უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფილი დაფინანსების - 100349,45 ლარის ფარგლებში მიღებული ეკონომიიდან 62340 ლარი მიმართოს მოდულური პროგრამების განხორციელებისათვის საჭირო ხელსაწყოებისა და აღჭურვილობის შესაძენად ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით. რესურსებთან შეუფერხებლად ექნებათ წვდომა სსმ პირებსაც.

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ განათლების ხარისხის განვითარების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, შემუშავებული აქვს განათლების ხარისხის განვითარების მექანიზმები, მათ შორის, პროგრამების განვითარების უზრუნველსაყოფად შემუშავებულია სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ ხარისხის მართვის 2019–2022 წლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება კოლეჯის მისიას, SWOT ანალიზსა და კოლეჯის შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას. გეგმის თანახმად, კოლეჯს გამოყოფილი აქვს პრიორიტეტები, რომელთა შორის არის პროფესიული საგანმანათლებლო, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები და ხარისხის უზრუნველყოფა. სამოქმედო გეგმაში გაწერილია ამ მიზნის მისაღწევად დასახული ამოცანები, აქტივობები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული

ერთეულები, შესრულების პერიოდი, მტკიცებულებები, მოსალოდნელი შედეგები და გასათვალისწინებელი რისკები, რომლის ერთერთი ამოცანაა ხარისხის გარე მექანიზმების პარალელურად ხარისხის შიდა მექანიზმების გაძლიერება და ეფექტიანი შიდა მონიტორინგის ამოქმედება, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მუდმივ შეფასებას და ანალიზს. დაწესებულება ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების ფარგლებში ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას სპეციალური კითხვარების მეშვეობით. დირექტორის ბრძანებებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა, დამსაქმებელთა, კურსდამთავრებულთა, ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამის განმახორციელებელი პირის (პროფესიული განათლების მასწავლებელის) კითხვარების ფორმები, რომლებიც წლების განმავლობაში იცვლებოდა და მათში დირექტორის ბრძანებით შედიოდა ცვლილებები. ყველა კითხვარში რიგი კითხვებისა ეხება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას. დაინტერესებული მხარეების (პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დამსაქმებლები) მხრიდან უკუკავშირი კონკრეტული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სწორედ მათ მიერ შევსებული კითხვარების მეშვეობით, რის შემდეგაც მოხდება მათი ანალიზი და შემდგომი რეაგირება.

პროგრამის შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯში შემუშავებულია რიგი მარეგულირებელი დოკუმენტებისა სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით, შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურები და მექანიზმები. დოკუმენტში დეტალურადაა ასახული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცედურა და წესი, მოდულის შემუშავების წესი, მოდულური პროგრამების დამტკიცების წესი, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებელის შეტანის წესი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წესი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების წესი.

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N28 ბრძანებით შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანის, განვითარების, შეფასებისა და გაუქმების მეთოდოლოგიის თანახმად, პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში) ან სხვა გარემოებების საფუძველზე. როგორც დოკუმენტიდან ჩანს და რაც დაადასტურეს კოლეჯის წარმომადგენლებმა, პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და სხვა დაინტერესებულ პირებს. პროფესიულ სტანდარტსა და მოდულში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლივ აქტს გამოსცემს კოლეჯის დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, შესაბამის სამართლებრივ აქტში უნდა განისაზღვროს პროგრამის შესაბამისი მიღების ჯგუფები, რომლებზეც სამართლებრივი ან ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე გავრცელდება აღნიშნული ცვლილება. რამდენადაც დაწესებულებას არ ჰქონდა შემუშავებული პროგრამაში ან ცალკეულ მოდულში

ცვლილებებთან დაკავშირებული ინიცირების შემთხვევაში რა პროცედურას გადის, ვინ განიხილავს ცვლილებების აუცილებლობას, ვინ აანალიზებს ცვლილების მიზანშეწონილობას, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია პროცედურის აღწერასთან დაკავშირებით. კოლეჯმა რეკომენდაცია ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა და შექმნა დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია ინიცირების პროცედურები.

„მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შემუშავებულია სასწავლო გეგმა. გეგმის თანახმად, პროგრამის ხანგრძლივობაა 10 სასწავლო თვე (40 სასწავლო კვირა), ქართული ენის მოდულების დამატების საჭიროების შემთხვევაში - 12,5 სასწავლო თვე (50 კვირა). სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულზე დაშვების წინაპირობები, პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გაწერილი ვადები მოდულების გადაბარებასთან დაკავშირებით. სასწავლო ცხრილები შეიქმნება პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად. შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია.

კოლეჯში შემუშავებულია უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი დახმარების აღმოჩენის წესი და სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები. შემუშავებულია ასევე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. ორივე დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსებულია ვებგვერდზე. ყველა სართულზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ კოლეჯის რამდენიმე თანამშრომელს ჩაუტარდა საგანგებო სიტუაციების მართვის სასწავლო-თეორიული ტრენინგი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი კომპანიების მხრიდან პროფესიულ სტუდენტებს ჩაუტარდებათ ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებით. კომპანიებთან გაფორმებულ მემორანდუმებში გათვალისწინებულია პუნქტი უსაფრთხოების ნორმების დაცვის ვალდებულებასთან დაკავშირებით. კოლეჯის შენობაში არის ნათელი, ფართო ოთახები ვენტილაციისა და გათბობის სისტემებით. შენობის უკანა შესასვლელში მოწყობილია გრძელი პანდუსი. „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ პროგრამის განსახორციელებლად განკუთვნილი ოთახები პირველ სართულზეა განთავსებული და სრულად აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს.

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის N26 ბრძანებით, ცვლილება: N108, 20.07.2020 წ.). წესით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება და შიდა მონიტორინგი, მტკიცებულებების შეგროვება და შენახვა, შეფასების პროცესის ადმინისტრირება, შეფასების შედეგების გაცნობა პროფესიული სტუდენტისათვის, განმეორებით შეფასების წესები და შეფასების გასაჩივრების რეგულაციები. დოკუმენტის შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კოლეჯის პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალეობასა და სამართლიანობას. კოლეჯში დირექტორის ბრძანებით (N27, 18.02.2020) შექმნილია პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით მუდმივმოქმედი კომისია, რომლის მოვალეობაა გამოყენებული შეფასების სისტემის ვალიდურობის, სანდოობისა და გამჭვირვალობს შეფასება.

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში“ შემუშავებულ პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესის მუხლი 11-ით განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შიდა ვერიფიკაციის და ვალიდაციის მექანიზმი. წესის თანახმად, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების შიდა ვერიფიკაციის განხორციელებისათვის კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან ხარისხის მართვის მენეჯერი და შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები. ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს. ვალიდაციას ახორციელებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით შექმნილი ვალიდაციის ჯგუფი, რომლის აუცილებელ წევრებად განისაზღვრებიან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სასწავლო პროცესის მენეჯერი და დარგის სპეციალისტ(ებ)ი/კომპეტენციის მქონე პირები. პანდემიის გათვალისწინებით, ვერიფიკაციის პროცესი ამ ეტაპამდე კოლეჯში არ განხორციელებულა, თუმცა კოლეჯი გამოთქვამს მზადყოფნას და გეგმავს ვერიფიკაციის 2020 წლის ნოემბრიდან დაწყებას.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში შექმნილი მტკიცებულებები კოლეჯში დაცულია და ინახება შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ გადაეცემა არქივს და ინახება მუდმივად. შეფასების წესით გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/ მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა. პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებული სწავლის შედეგები კომისიის მიერ ფორმდება შესაბამისი ოქმითა და უწყისით. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეფასებასთან დაკავშირებულ მონაცემებს/ინფორმაცის/მტკიცებულებებს მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს კოლეჯის სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტს სათანადო აღრიცხვის მიზნით.

შემდეგ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი იქნა დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის ფოტოები. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, დარგის ექსპერტმა, ვალერი ჯაჯანიძემ აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით დაამატა, რომ კოლეჯის პოზიცია იყო მეტწილი შესაბამისობა - პროგრამასთან დაკავშირებით, ხოლო რეალურად, პრაქტიკის ობიექტების არსებული რაოდენობა და შესაძლებლობები საშუალებას იძლეოდა, რომ სრულად დაეკმაყოფილებინა აბსოლუტურად ყველა მოთხოვნა განაცხადში გაკეთებული სტუდენტების რაოდენობის მიხედვით. შესაბამისად, ექსპერტებმა გადაწყვიტეს, რომ მეტწილი შესაბამისობის ნაცვლად, მათი შეფასება აღნიშნული პროგრამისთვის ყოფილიყო სრული შესაბამისობა. ექსპერტების მიერ წარმოდგენილი იყო სურათები, სადაც ძირითადად მოცემული იყო სავალი ნაწილების მიმართულებით არსებული მოწყობილობა და მანქანების და სიმძლავრეების ამსახველი რეალობა. რეალურად, ერთი პრაქტიკის ობიექტიც რომ ჰქონოდათ, მაინც შეძლებდნენ ამ პროგრამის განხორციელებას. იმ ერთ ობიექტში, რომელიც ნახეს და იყო 30 სამუშაო ადგილი, თავიდან ბოლომდე საკმარისია. გარდა ამისა, შპს ,,კენტავრი“, საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე დიდი კომპანიაა და ალბათ ერთადერთიც, რომელიც საზეინკლო საქმის მიმართულებით ახორციელებს შეკვეთების მიღებას. შესაბამისად, ამ კომპანიასთან გაკეთებული მემორანდუმი ძალიან დიდი პლიუსია ნებისმიერი სასწავლო დაწესებულებისათვის, კოლეჯი თავისუფლად შეძლებს, უზრუნველყოს სტუდენტები საზეინკლო საქმის მოდულის სრულად გატარებით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ერთადერთია თუ არა შპს ,,კენტავრი“, რომელიც საზეინკლო მიმართულებით უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ შპს ,,კენტავრი“ სიმძლავრის მიხედვით ერთადერთია საქართველოში. არის რამდენიმე დაწესებულება, სადაც მსგავსი ოპერაციები შეიძლება შესრულდეს, მაგრამ შპს ,,კენტავრი“ პროფილურია საზეინკლო საქმის მისაღებად. საბჭოს თავმჯდომარე ასევე

დაინტერესდა, ერთდროულად რამდენი სტუდენტის მიღება შეუძლია აღნიშნულ კომპანიას. ვალერი ჯაჯანიძის თქმით, მათ ერთდროულად შეუძლიათ 50-60 სტუდენტის მიღება, ანუ შეუძლიათ, მემორანდუმის მიხედვით სრულად აითვისონ 40 სტუდენტი.

კოლეჯის დირექტორმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ვიზიტისთვის და პანდემიის პერიოდში გაწეული მუშაობისათვის. მან აღნიშნა, რომ კოლეჯის სახელოსნოს მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობდა მათი ვიზიტის პერიოდშიც და ამჟამად მშენებლობა დასასრულს უახლოვდება, მიმდინარეობს ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები. რაც შეეხება საზეინკლო საქმის თემას, რადგან ეს საკითხი წამოიჭრა, ეს აპარატურა საკმაოდ ძვირადღირებულია, და მათ ჩათვალეს, რომ მთლიანად გაეტანათ გარეთ ეს პოზიცია და შეეცადნენ, რამდენიმე პოზიციაზე გადაენაწილებიათ სტუდენტები. მათ გაითვალისწინეს რეკომენდაციები და ვიზიტის ფარგლებშივე გაასწორეს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,
სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ (ს/კ: 200279448) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 28 სექტემბერი.

2. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

გამომდინარე იქიდან, რომ მეორე საკითხის განხილვა იმავე დაწესებულებას ეხებოდა, საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს - ქეთევან ბოტკოველს და ვალერი ჯაჯანიძეს თხოვნით მიმართა, ძირითად განსხვავებებზე ესაუბრათ, რადგან პირველი პროგრამა დეტალურად იყო წარმოდგენილი.
როგორც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, განმასხვავებელი ფაქტიურად არაფერი იყო ერთის გარდა: აღნიშნული პროგრამა მათი მხრიდან 2.2 კომპონენტში შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისი. მათ გასცეს შესაბამისობის რეკომენდაცია, რაზეც დარგის ექსპერტმა, ვალერი ჯაჯანიძემ ისაუბრა. მან „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ზოგადად, შემკეთებლის პოზიციაზე პირის

მომზადება საქართველოში ამ ეტაპზე ხორციელდება მხოლოდ სამ ადგილზე, რადგანაც ძალიან რთულია მისი განხორციელება. ეს გაპირობებულია იმით, რომ შესაბამისი მოწყობილობები, რაზეც უნდა ასწავლონ მსმენელს, ძვირადღირებულია, არ არის სიმულაციების საშუალება, რაზეც უნდა ასწავლონ და ა.შ. კოლეჯს აქვს გერმანული ფირმის სიმულაციური დანადგარები, რომლის ფოტოებიც დარგის ექსპერტმა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ეს იყო ელექტრონული მართვის სიმულაციური მოწყობილობები. აღნიშნული მოწყობილობების საშუალებით, შესაძლებელი ხდება, რომ სტუდენტმა რეალურ გარემოში მოახდინოს სიმულაცია და ისწავლოს მიმდინარე პროცესების შესაბამისად. ასევე დაზიანებების ხელოვნურად შექმნის საშუალებები არსებობს, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს, დაზიანების მექანიზმის და მისი გამომწვევის აღმოფხვრის მექანიზმები შეარჩიოს. რაც შეეხება დიაგნოსტიკას, საკმაოდ მაღალი დონისაა, რაც პრაქტიკაშიც იშვიათად გამოიყენება. ეს არის ინგლისურ-ამერიკული წარმოების სადიაგნოსტიკო მოწყობილობები, აქვთ ფოლქსვაგენის მარკის ავტომობილი, რომელიც სასწავლო რესურსად არის გადაკეთებული. ვალერი ჯაჯანიძის თქმით, ზემოჩამოთვლილი რესურსების მიუხედავად, ექსპერტებმა ვერ შეძლეს აღნიშნულ კომპონენტში პროგრამის შეფასება, როგორც სრულად შესაბამისი, რადგან იყო გარკვეული პრობლემები. საჭიროა დამატებითი მოწყობილობები, რაც აუცილებელიაა პროგრამის განსახორციელებლად, ამიტომ ამ ეტაპზე მიიჩნევენ, შეფასებული იყოს ამ კომპონენტში, როგორც მეტწილი.

ქეთევან ბოტკოველმა დაამატა, რომ მათ კითხვაზე: რატომ არ გაიტანა ეს მოდულები პრაქტიკის ობიექტზე კოლეჯმა, პასუხი იყო, რომ ელოდებიან სახელოსნოს დასრულებას, სადაც გაკეთდება ყველაფერი და ადგილზე ამუშავებენ სტუდენტებს. გამომდინარე იქედან, რომ სწავლა გვიან დაიწყება, ჩათვალეს, რომ შესაძლებელი იქნებოდა სახელოსნოს დასრულება სწავლის დაწყებამდე.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით საკმაოდ დიდი გამოცდილება და პასუხისმგებლობა დაუგროვდათ წლების მანძილზე და ამ პროგრამების მოდიფიცირებაში ისინი რამდენჯერმე შეიცვალა, დაიხვეწა და ა.შ. მონაწილეობას ღებულობდნენ აქტიურად მათი პედაგოგები და თვითონაც. მათ შესაძლებლად ჩათვალეს გარკვეული C გარემოც შეექმნათ კოლეჯის ტერიტორიაზე. გარდა ამისა, სურვილი აქვთ, გარკვეული ეკონომიკური საქმიანობაც შესთავაზონ სტუდენტებს. ამჟამად ეს საკითხი აქტუალურია - კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობა და ამისთვის გამოყვეს ადგილი კოლეჯში. ამ ეტაპისათვის აღჭურვილობის ნაწილში ძირითადად არის ამწეები და სამი ამწის შეძენაზე მთავრობის ნებართვაც აქვთ 24 სექტემბრიდან, რომ განახორციელონ შესყიდვები და სახელოსნო შესაბამისად აღჭურვონ. შესაძლებელია ამწეები ორ თვეში დააყენონ, მაგრამ პანდემიის გამო შეიძლება ვადები გაიწელოს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა და იკითხა, რამ შეუშალათ ხელი, სტუდენტებისთვის პრაქტიკის მოდულები პარტნიორ კომპანიასთან, პრაქტიკის ობიექტზე გაეტარებინათ, რომლებიც მრავლად ჰყავთ. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათი სურვილია, სწავლების კონცენტრაცია მოხდეს მათთან, ადგილზევე. მისი თქმით, აქ რამდენიმე ფაქტორი მოქმედებდა, თუნდაც ეკონომიკური საქმიანობის დაწყების და სხვ., თან სახელოსნოც სჭირდებოდათ.

ნანი დალაქიშვილმა დააზუსტა, შესაბამისობის გეგმა თუ წარმოადგინა კოლეჯმა, რაზეც უპასუხეს, რომ 6 თვიანი გეგმა აქვს წარმოდგენილი, ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით. მან იკითხა, სახელოსნოს მშენებლობა დასრულდება თუ არა მაგ პერიოდისთვის. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სახელოსნო ნახევარ თვეში, დაახლოებით 20 ოქტომბრისთვის იქნება დასრულებული, ხორციელდება ფასადის და ელექტროობის მონტაჟი. ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ძალიან სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მშენებლობა. კოლეჯმა უნდა გაიტანოს

მცირე მოდულები, რომელსაც სჭირდება ამწე. რეკომენდაციაა, მოიძიონ ისეთი პრაქტიკის ობიექტი, სადაც ამწე ექნებათ. თუმცა ისეთი ტემპით მიმდინარეობს სახელოსნოს მშენებლობა, რომ მათი აზრით, მალე დასრულდება.

მშენებლობა ნამდვილად ეტევა ვადებში, დაადასტურა დაწესებულების წარმომადგენელმა, მაგრამ აღჭურვილობის შესყიდვა, შიშობს, ვერ მოესწრება პანდემიის გამო.

ნანი დალაქიშვილმა კოლეჯის წარმომადგენელს სთხოვა, რეალური ვადა დაესახელებინა, როდესაც დასრულდებოდა აღჭურვილობის შესყიდვა. მან აღნიშნა, რომ კოლეჯმა უნდა განსაზღვროს რეალური ვადა, რომლის ფარგლებშიც დასრულდება აღჭურვილობის მოწოდება, მით, უმეტეს რომ ეს ვადები სწავლის დაწყებასთან არ არის დაკავშირებული და შესაძლოა, ეს ვადა რეალურად 6 თვეც იყოს. საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ არსებული, კოვიდპიდემიასთან დაკავშირებული შეფერხებების გამო, იმის გათვალისწინებით, რა ვითარებაშიც მთელი სამყარო იმყოფება, ვუშვებთ იმ მოცემულობას, რომ შეიძლება რაიმე ფორსმაჟორული პრობლემები ყველა დაწესებულებას შეექმნას, ამდენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცენტრი, სამინისტრო და ავტორიზაციის საბჭო შეჯერდეს და ერთიანი პოზიცია ჩამოაყალიბონ. ისეთ შემთხვევებში, როცა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მოწოდების ვადები ირღვევა, მონიტორინგის თარიღი კი უკვე ძალაში შედის და შესაძლოა, ბევრ კოლეჯს დაუდგეს უახლოეს მომავალში ეს მოცემულობა, ერთიანი მიდგომა თუ გვექნება კარგი იქნება, და თუ ნამდვილად არა დაწესებულების მიზეზით იქნა ეს დაყოვნება გამოწვეული, სისტემა მზად უნდა იყოს, როგორ ვიქცევით ფორსმაჟორში, მაშინ, როდესაც ავტორიზაციის არსებული დებულება და სტანდარტები ნათლად არ იძლევა ცალსახა გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. ჩვენი ამოსავალი სტუდენტთა ინტერესები და ხარისხიანი სწავლება უნდა იყოს, განაცხადა საბჭოს თავმჯდომარემ. საბჭოს თავმჯდომარეს დაეთანხმა ნანი დალაქიშვილიც, რომელმაც განაცხადა, რომ შესაძლოა რიგ კოლეჯებს მართლაც შეექმნათ ასეთი ფორსმაჟორული სიტუაციები, და ცენტრს დაუდგეს საბჭოს წინაშე მონიტორინგის ვადის გადატანასთან დაკავშირებით შუამდგომლობის ვალდებულება, ვფიქრობთ, რომ მართლაც საჭიროა საბჭოს, ცენტრს და სამინისტროს ერთიანი პოზიცია ჰქონდეს და აქედან გამომდინარე, მოხდეს მსჯელობა მონიტორინგის გადავადებასთან დაკავშირებით, დაამატა მან.

საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ სწორ ვადას ვერავინ განსაზღვრავს, ამ სიტუაციიდან გამომდინარე. ის უშვებს იმ ალბათობას, რომ შეიძლება თებერვლისთვისაც ვერ მოხერხდეს. ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნია, შეთანხმდეს, როცა ფორსმაჟორით გათვალისწინებული შემთხვევაა, რა პოზიცია ექნებათ ცენტრს და საბჭოს, რადგან ასეთ დღეში შეიძლება სხვა კოლეჯებიც აღმოჩნდნენ და ერთნაირი მიდგომა უნდა ჰქონდეთ ყველასთან, მსგავს სიტუაციაში. საბჭოს თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ ცენტრი შეძლებს სამინისტროსთან შეთანხმებული პოზიცია გააცნოს საბჭოს უახლოეს მომავალში.

ნანი დალაქიშვილის თქმით ამ ეტაპზე შეეძლოთ, მაქსიმალური ვადა მიეცათ კოლეჯისთვის და შემდეგ მონიტორინგის ჯგუფი შეამოწმებდა, დასრულდა თუ არა დაწესებულებაში ეს პროცესი ან გატანილი იქნება თუ არა პრაქტიკის მოდულები იმ პარტნიორ ორგანიზაციებში, სადაც შეუძლიათ მათი განხორციელება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ (ს/კ: 200279448) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2)** მონიტორინგის ჩანიშვნით 2.2. კომპონენტის ნაწილში. დაწესებულების თანხმობით, მონიტორინგის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 29 მარტი.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 28 სექტემბერი.

საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ მოხდა საბჭოს წევრების ცვლილება: სხდომა დატოვა გიორგი ტრაპაიძემ და სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი, ნინო კაკულია.

3. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრისთვის“ „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ ამ შემთხვევაშიც ითხოვა, ექსპერტებს ყურადღება გაემახვილებინათ მხოლოდ შესაბამისობის განმასხვავებელ რეკომენდაციებზე და იმ ფაქტორებზე, რის გამოც მეტწილი შესაბამისობა დააფიქსირეს.
დარგის ექსპერტმა, ვალერი ჯაჯანიძემ აღნიშნა, რომ ,,მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამაზეც ერთი შესაბამისობის რეკომენდაცია ჰქონდათ და იგივეა, რაც წინა პროგრამაზე იყო,. კერძოდ: სასურველია დაწესებულებამ დამატებით მოიძიოს პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები. ექსპერტის თქმით, აბსოლუტურად იგივე მდგომარეობაა, რაც იყო ,,მსუქუქი ავტომიბილის ელექტრო და ელექტრონული ნაწილების შეკეთების“ პროგრამაზე, პროგრამის განხორციელების თვალსაზრისით. მან აღნიშნა, რომ სამივე პროგრამის მიხედვით, კორექტირება მოხდა სასწავლო გეგმებში, ზოგადი მოდულების განხორციელებისას, რომელსაც სჭირდება C გარემო. ეს არის საზეინკლო საქმეების საფუძვლები და რამდენადაც ამგვარ პროგრამაზე ყველა ჯგუფი ერთდროულად გადიოდა საზეინკლო საქმის საფუძვლებს, კოლეჯმა გაითვალისწინა მათი რეკომენდაცია და ადგილზე მოახდინა პრაქტიკის ობიექტების სიმძლავრეებიდან გამომდინარე, აღნიშნულ მოდულზე სასწავლო გეგმის მიხედვით სტუდენტთა გადანაწილება. რაც შეეხება დანარჩენს, ტრადიციულია ამ კოლეჯისათვის, ამ პროგრამას წლების განმავლობაში ახორციელებდა კოლეჯი და საკმაოდ დიდი წარმატებით, პრაქტიკის ობიექტების გამოყენებით. მათ აგრეთვე ადგილზე ნახეს და აქვთ სხვადასხვა ტიპის სტენდები და დანადგარები, რომლის მიხედვითაც თავისუფლად შეუძლიათ, დაშალონ და ააწყონ აღნიშნული ძრავა. აქვთ სადიაგნოსტიკო საშუალებებიც. ერთადერთი, რისი საჭიროებაც აქვთ, ეს არის ძრავის ავტომობილიდან ამოღება-ჩადგმის მოწყობილობის შეძენა და მეორე, ეს არის ამწე მოწყობილობა. ამ ორი მოწყობილობის არქონის გამო, კოლეჯი ელოდება ამ ინვენტარის შეძენას და შეტანას კოლეჯში.

ამიტომ რეკომენდაცია მიეცათ, მოიძიონ პრაქტიკის ობიექტები. მით უმეტეს, ამ სასწავლო შედეგის მიღწევას ეყოფა ერთი საშუალო რესურსის მქონე პრაქტიკის ობიექტიც კი.
დაწესებულების დირექტორმა აღნიშნა, რომ ამგვარი ხედვა აქვთ მათაც და იმუშავებენ ამ კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,

სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრს“ (ს/კ: 200279448) მიენიჭოს უფლება, დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 3)** მონიტორინგის ჩანიშვნით 2.2. კომპონენტის ნაწილში 2021 წლის 29 მარტს.
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 28 სექტემბერი.

4. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის „საოფისე საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოზე პრეზენტაცია წარადგინა ექსპერტმა თამარ რემიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 19 აგვისტოს ქ. თბილისში, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელში. მისი თქმით, ვიზიტი საკმაოდ კონსტრუქციულ ვითარებაში წარიმართა. კოლეჯს საოფისე საქმის საშუალო პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლება მოპოვებული ჰქონდა ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 14 ივნისის №125 გადაწყვეტილებით, ამ ეტაპზე განიხილებოდა დაწესებულების განაცხადი ამ პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თაობაზე.

პროგრამის განხორციელების დასაბუთებაში დაწესებულებამ წარმოადგინა თავისი პოზიცია, რაც შემდეგში მდგომარეობს: დაწესებულებამ ჩაატარა კვლევა, რომელიც ეფუძნებოდა რაოდენობრივი მონაცემების მეორად ანალიზს და გამოყენებული იყო სხვადასხვა ორგანიზაციების კვლევები, მათ შორის, კადრების საჭიროების კვლევა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წევრ კომპანიებს შორის, შპს ,,ნეა“ და საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, რომელიც 2018 წელს განხორციელდა. მეორე, ეს იყო საქართველოს პროფესიული საგამანათლებლო დაწესებულებების სტატუსის შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კვლევის ანალიზი, რომელიც 2015 წელს იყო ჩატარებული და მესამე, ეს იყო ვაკანსიების მონიტორინგი რეგიონულ შრომის ბაზრებზე, 2018 წლის მონაცემებით, "ევროკავშირი საქართველოსთვის"; ასევე, საქარველოს შრომის, ჯანმრთელობისა და საციალური დაცვის სამინისტროს „შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტის კვლევა“, 2015 წელს. ამ კვლევების საფუძველზე გამოვლინდა, რომ „საოფისე საქმე“ საქართველოს შრომით ბაზარზე ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სფეროა და დაწესებულებისათვის პრიორიტეტული გახდა ამ პროგრამის დამატება. დაწესებულების 2019-20 წლების სამოქმედო გეგმა ასევე ითვალისწინებს, რომ პროგრამებში მოხდეს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება და ამის საფუძველზე დაწესებულებამ გადაწყვიტა, რომ ,,საოფისე საქმეში“ მოხდეს ზოგადი განათლების სწავლის შედეგების ინტეგრირება. იმ შემთხვევაშიც, თუ სტუდენტები ჩაირიცხებიან 9 კლასის ბაზაზე, მათ საშუალება ექნებათ, შეუფერხებლად გააგრძელონ სწავლა აკადემიურ პროგრამაზე.

შემდეგ ექსპერტმა წარმოადგინა შესაბამისობის ცხრილი და აღნიშნა, რომ ისინი პროგრამას აფასებენ, როგორც სრულად შესაბამისს ოთხივე სტანდარტის მიხედვით. ხოლო დაწესებულებამ როცა წარმოადგინა განაცხადი, 2.2 ქვესტანდარტში, მატერიალური რესურსის კომპონენტში, შეფასებული ჰქონდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ყველა მატერიალური რესურსი არ ჰქონდა კოლეჯს ადგილზე, მაგრამ როდესაც ექსპერტები ვიზიტზე მივიდნენ, 19 აგვისტოს, ეს მატერიალური რესურსი, რაც მანამდე შესყიდვის პროცესში იყო, უკვე ადგილზე დახვდათ. დასკვნას დანართადაც აქვს მიღება-ჩაბარების აქტი და ის ჩამონათვალი, რაც იყო საჭირო და რომელიც 17 აგვისტოს დაწესებულებამ უკვე მოიტანა და ჰქონდა ლაბორატორიაში. ეს იყო ძირითადად ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის ლაბორატორიებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობის ნაწილი.

ექსპერტებმა დაათვალიერეს დაწესებულების შენობა-ნაგებობა და ნახეს, სად უნდა განხორციელდეს აღნიშნული პროგრამა. დაწესებულებას სურვილი აქვს, ამ პროგრამაზე ჰყავდეს 20 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებაში არსებული A, B და C გარემო აბსოლუტურად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომ 20 პროფესიული სტუდენტი სწავლობდეს დაწესებულებაში.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, ესენია: N25 საბავშვო ბაღი და საზოგადოებრივი კოლეჯი ,,პანაცეა“. ვიზიტის დროს ექსპერტები იმყოფებოდნენ საბავშვო ბაღში, საზოგადოებრივი კოლეჯის წარმომადგენელთან ჰქონდათ სატელეფონო გასაუბრება. მათ ორივე შემთხვევაში დაადასტურეს მზაობა და მემორანდუმში გაწერილი პირობების შესრულება. გარდა ამისა, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მოლაპარაკება აქვთ საქართველოს ეროვნულ არქივთან. ისინი ადრე თანამშრომლობდნენ მათთან, მემორანდუმს ვადა ამოეწურა და 15 სექტემბრიდან აპირებენ ახალი მემორანდუმის გაფორმებას პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების მიზნით. თუმცა ეს მემორანდუმი გაფორმდება თუ არა, პროფესიულ სტუდენტები ამით არანაირი რისკის ქვეშ არ დგანან. ორი ობიექტი ყველანაირად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

ექსპერტმა წარმოადგინა დაწესებულების სასწავლო გარემოს ფოტოები. A სასწავლო გარემოს სამუშაო ადგილი პროფესიული სტუდენტებისთვის და მეორე გარემო ათ-ათი სტუდენტისთვის და ასევე ლაბორატორია, რომელიც არის A და C სასწავლო გარემო, ინტეგრირებული, სადაც 30 სამუშაო ადგილია პროფესიული სტუდენტებისთვის. C გარემო სრულადაა აღჭურვილი მატერიალური რესურსით, რაც წარმოდგენილ ფოტოებზეც დასტურდება. ყველა დეტალი/რესურსი, რომელიც საჭიროა ინტეგრირებული მოდულის სწავლის შედეგების მისაღწევად, არის ადგილზე. მათ შესაბამისი დოკუმენტებიც შეამოწმეს და ვიზუალურადაც ნახეს. ლაბორატორიაში გამოკრულია წესი, რომელიც ლაბორატორიის უსაფრთხო ნარჩენების მართვას არეგულირებს.

რაც შეეხება ადამიანურ რესურს, პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულებები 22 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 11 - ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის, ხოლო პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ პროფესიულ მასწავლებლებს, რომელთაც დაადასტურეს მზაობა პროგრამის განხორციელებისა და მოცემული სასწავლო დატვირთვისთვის. მათი კვალიფიკაცია რელევანტურია სწავლის შედეგების მიღწევისთვის და პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს და დირექტორის მიერ დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის, როგორც პროცესის დაგეგმვა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობის მონიტორინგის და შეფასების მიზნით. ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს და ვებგვერდზეა განთავსებული 2020-2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია; ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს დისტანციურად სწავლების და გამოკითხვის ონლაინ კითხვარები სხვადასხვა მიმართულებებით: ონლაინ სასწავლო პროცესის ორგანიზებულობა; ონლაინ სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობა; ონლაინ წარმართული მოდულის/სწავლის ცალკეული შედეგების შეფასება; პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება; პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ადექვატურობა. გარდა ამისა, წელიწადში ერთხელ, კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ შემუშავებული/წარდგენილი ონლაინ კითხვარებით. აღნიშნულის მიზანია კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა და მათი პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი მოთხოვნების გადახედვა.

დაწესებულება მოიაზრებს სხვადასხვა პროფესიულ დაწესებულებებთან თანამშრომლობას. მსგავსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შემთხვევაში, ისინი ეცდებიან, რომ გაიზიარონ სხვა დაწესებულებების გამოცდილება, რაც ხელს შეუწყობს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობას. 2019 წლისათვის ჩატარებულია ერთ-ერთი პროგრამის ვერიფიკაცია და ესეც არის დასკვნაში აღწერილი. მართალია, ამ პროგრამის ვერიფიკაცია არ იყო, მაგრამ დაწესებულებას აქვს ამის გამოცდილება.

ექსპერტებმა შეიმუშავეს განმავითარებელი რეკომენდაციები:

1. დაწესებულების მიერ შემუშავებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებულია შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები: საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; დოკუმენტი „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება“ მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა კოლეჯის სტრუქტურა, ადმინისტრაციის და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, საგანმანთლებლო პროგრამების შემუშავების/დამატების მეთოდოლოგია, მონიტორინგის და ვერიფიკაციის მექანიზმები, პროფესიული სტუდენტის უფლებები/სერვისები და სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვისთვის საჭირო სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. თუმცა მეორე დოკუმენტში „შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ ხდება ისეთი საკითხების დუბლირება, როგორიცაა პროფესიული სტუდენტის შეფასება, შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, შიდა მონიტორინგის ჯგუფი და სხვა. ვიზიტის დროს ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია, რომ არ მოხდეს სხვადასხვა დოკუმენტში ერთიდაიგივე საკითხების დუბლირება. ექსპერტთა შეფასებით, სხვადასხვა დოკუმენტებში გაწერილი ერთი და იგივე მექანიზმები არაეფექტურია პროცესების ადმინისტრირებისთვის, რასაც დაწესებულების წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ;
2. რეკომენდებულია, გასწორდეს ტექნიკური შეცდომა პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებისთვის გაფორმებული მემორანდუმების სათაურში „მემორანდუმი საგანმანთლებლო პროგრამის კლინიკური სწავლების განხორციელების თაობაზე“;
3. რამდენიმე მოდულის განხორციელებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება მინიმუმ ორ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულ ხელშეკრულოებებში გაკეთდეს დამატებითი ჩანაწერი, რომ პროფესიულ მასწავლებელს ანაზღაურება მიეცემა მოდულით განსაზღვრული საათების ჩატარების შემთხვევაში.

ასევე ექსპერტებმა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციებიც შეისწავლეს. გაცემული რეკომენდაციებიდან ნაწილი შესრულებული იყო და ორი რეკომენდაცია ჯერ კიდევ შესრულების სტადიაშია. ესენია: დაწესებულების ახალი ვებგვერდი და პერსონალის განვითარება, რაზეც მუშაობს დაწესებულება და 2020 წლის შემოდგომისათვის უზრუნველყოფილი იქნება ამ რეკომენდაციების შესრულება.
ექსპერტმა საბჭოზე დაწესებულების ფოტომასალა წარმოადგინა. კოლეჯს აქვს საშუალება, ორ ცვლაში განახორციელოს სწავლების პროცესი. დარგის ექსპერტმა განაცხადაა, რომ შეისწავლეს ინტეგრირებული პროგრამა. სასწავლო გეგმა გაწერილია სამ წელზე, სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობს სწავლების პროცესი. მთლიანად ეს პროგრამა არის 112 კრედიტიანი და სასწავლო პროგრამაში დაცულია წინაპირობებიც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში. ექსპერტებმა დეტალურად გაიარეს აღჭურვილობის ნაწილიც. რაიმე განსაკუთრებულ აღჭურვილობას არ მოითხოვს პროგრამა, გარდა ქიმიის ლაბორატორიისა, რომლის აღჭურვილობაც მთლიანად შეძენილია და ადგილზე აქვთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, შორენა ხაჭაპურიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაცემული რეკომენდაციებისათვის, რომელთა ნაწილი უკვე გაითვალისწინეს. რაც შეეხება ვებგვერდის განახლებას, ამაზე დაწესებულებას უკვე დაწყებული აქვს მუშაობა და თუ საჭიროა, შეუძლიათ საპილოტო ვერსიაც აჩვენონ. რაც შეეხება ტრენინგებს პედაგოგებისათვის, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, იფიქრეს, რომ არ გადადებულიყო ძალიან, ონლაინ რეჟიმში ჩაეტარებიათ. ამიტომ წინა კვირას ჩაატარეს სამდღიანი ტრენინგი, სადაც მონაწილეობა მიიღეს არა მხოლოდ თბილისის, არამედ თელავის დამატებითი ფართის პედაგოგებმაც. ტრენინგის ფარგლებში დააანონსეს, რომ უნდათ ვორკშოპების ჩატარება იმიტომ, რომ ეს ტრენინგები პედაგოგებისათვის, მათი განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ისინი ვორკშოპების ჩატარებას გეგმავენ ოქტომბრის თვიდან. ამასთან

დაკავშირებით ინფორმაცია განთავსებულია მათ ვებგვერდზე და მათ ფეისბუქ გვერდზეც. გარდა ამისა, ინფორმაცია განთავსებულია იმ სამდღიანი ტრენინგის შესახებ, რომელიც უკვე ჩატარდა.

შორენა ჯაფარიძემ ექსპერტებს ჰკითხა, ჰქონდათ თუ არა მათ გასაუბრება ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლებთან და თუ ჰქონდათ, რამდენად აქვთ მათ გააზრებული, რა უნდა გააკეთონ და როგორ. ექსპერტმა უპასუხა, რომ მათ ჰქონდათ გასაუბრება ინტეგრირებული მოდულის მასწავლებელთან და რა თქმა უნდა, გააზრებული აქვთ ეს ყველაფერი და გავლილი აქვთ ტრენინგიც, გარდა ამისა, მათ აქვთ სწავლების გამოცდილებაც.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ხარისხის ერთ-ერთი მექანიზმი აქვს გაწერილი, რომელიც მას ძალიან მოსწონს. ეს არის საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობა, ანუ მსგავსი პროგრამის განმახორციელებლებთან რაღაც ქსელის შექმნა, გაზიარება. იგი დაინტერესდა, ეს მხოლოდ გაწერილია, თუ რეალურად ხორციელდება და ამის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი თუ არსებობს, რომელიც საერთაშორისო პარტნიორობას/ასეთი ტიპის ურთიერთობას ადასტურებს, იმიტომ, რომ ეს კარგი და მისაბაძი მაგალითია.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მექანიზმები ნამდვილად სკრუპულოზურად და დეტალურად არის გაწერილი და განხორციელებაც დაწყებულია. ამ ეტაპზე მათ დაიწყეს საექთნო საქმის პროგრამასთან დაკავშირებით მსგავსი გამოცდილების გაზიარება გერმანულ პარტნიორთან, თუმცა გეგმავენ, რომსამომავლოდ სხვა პროგრამებშიც მოხდეს ასეთი გამოცდილების გაზიარება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის „საოფისე საქმის“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლებამოსილების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლისშედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად,

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს (ს/კ: 202066405) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს დანართით განსაზღვრული „საოფისე საქმის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 4).**
გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ნატო ქიტიაშვილმა.

5. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

,,საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით ვიზიტი დაწესებულებაში შედგა მიმდინარე წლის 20-21 აგვისტოს. ,,საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება კოლეჯმა მოიპოვა ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 2 ოქტომბრის №200 გადაწყვეტილებით. პროგრამას დაწესებულება ახორციელებს ორ მისამართზე: ქ. თბილისში და ქ. თელავში, თუმცა აღნიშნული წარმოების ფარგლებში მიზანი იყო, ქ. თბილისში, ზაზიშვილის ქ. N 1-ში პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა გაიზარდოს 54 სტუდენტით და გახდეს 90. ვიზიტის დროს პროგრამაზე ირიცხებოდა 11 პროფესიული სტუდენტი და ერთ პროფესიულ სტუდენტს სტატუსი ჰქონდა შეჩერებული. დაწესებულებას საინტერესო დასაბუთება აქვს. ჩატარებული აქვს კვლევა. საქართველოში არსებობს დეფიციტი კვალიფიციური ექთნების თვალსაზრისით. საექთნო განათლების მიღება საქართველოში შესაძლებელია უმაღლესი აკადემიური და პროფესიული განათლების გზით. საექთნო საბაკალავრო პროგრამები საქართველოში ხორციელდება 2011 წლიდან, მაგრამ აღნიშნულ პროგრამაზე უმეტესად ისეთი სტუდენტები ირიცხებიან, შემდგომში მობილობით რომ სარგებლობენ და გადადიან სხვა სამედიცინო პროგრამებზე. მიუხედავად დიდი დეფიციტისა, ამ პროგრამის ფლობის მსურველთა რაოდენობა არ იზრდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და შესაბამისად, უფრო მეტი წილი მოდის პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. ვიზიტის დროს კოლეჯმა წარმოადგინა 2018-2019 წლების კურსდამთავრებულთა სტატისტიკა. ამ სტატისტიკის მიხედვით, 2018 წელს 28 კურსდამთავრებულიდან 24-ია დასაქმებული, ხოლო 2019 წელს, 30-დან 20-ია დასაქმებული. ასევე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ვიზიტის დროს, გამოცხადებულ 25 ადგილზე დარეგისტრირებული იყო უკვე 80 აპლიკანტი. ესეც გვიჩვენებს, რომ მოთხოვნა არის ამ პროგრამაზე.

კოლეჯი უკვე მესამე წელია თანამშრომლობს გერმანულ კომპანიასთან „მედიჯობლაინი“, რომელიც დასაქმების ხელშეწყობის ორგანიზაციაა. აღნიშნული ორგანიზაცია უზრუნველყოფს საქართველოში დიპლომირებული ექთნებისთვის გერმანიაში კვალიფიკაციის აღიარებას და შემდეგ უკვე დასაქმებას. გერმანიაში ამ დიპლომის აღიარებისას გამოვლენილი საგნების შესაბამისი საათების ნაკლებობის შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს მათ ანაზღაურებას თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილში. ამის დასადასტურებლად კოლეჯი გასცემს სერტიფიკატს, რომელსაც აღიარებს ეს გერმანული მხარე. სტუდენტები პარალელურ რეჟიმში ინტენსიურად ემზადებიან გერმანულ ენაშიც. აღნიშნული სწავლება ფინანსდება გერმანული მხარის მიერ. სწავლების დასრულების შემდეგ, სტუდენტები გადიან გასაუბრებას და შემდეგ უკვე აფორმებენ ხელშეკრულებებს. აღნიშნული პროგრამა, „საექთნო განათლება“ არის 180

კრედიტიანი და თითქმის თავსებადია ევროპულ სტანდარტებთან. მეტად ხელსაყრელი იქნება გერმანული მხარისთვისაც და კიდევ უფრო გაზრდის დასაქმებულთა მაჩვენებელს, თუმცა ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია, რომ ამ პროგრამის ფარგლებში მომზადებული 65 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 50 - უკვე შთამბეჭდავი ციფრია.

პროგრამა შესაბამისობაშია ყველა პარამეტრის მიხედვით. მოთხოვნილი კვოტის შესაბამისად, ქ. თბილისში კოლეჯს შეუძლია განახორციელოს და მიაღწიოს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. კოლეჯს გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი - A, B და C გარემოში. თითოეული სასწავლო გარემოს ფართში შესაძლებელია 90 სტუდენტის მიღება. ადამიანურ რესურსს რაც შეეხება, განსაზღვრულია 28 პროფესიული მასწავლებელი, მათგან 5 ჩართულია ფარმაციის პროგრამის განხორციელებაშიც. ვიზიტის დროს მოხდა მათთან გასაუბრება. ზოგადი მოდულების განხორციელებაში ჩართულია 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი. მათ აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია.

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულებაში არსებული მატერიალური რესურსი და ამ რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები საგანმნანათლებლო პროგრამის კლინიკური სწავლების განხორციელების მიზნით შემდეგ ობიექტებთან: შპს ქართულ-ჰოლანდიურ ჰოსპიტალი, სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ინსტიტუტის ეროვნული ცენტრი“, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის ცენტრი“, ააიპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“.

ვიზიტის დროს მოხდა პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება ელექტრონული პორტალი „ზუმის“ მეშვეობით. ისინი წარმოადგენენ კონკრეტულ სამედიცინო დაწესებულებას და ჩართული არიან პროგრამის განხორციელებაში. იცნობენ სპეციფიკას და გააზრებული აქვთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, შესაბამისად, უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ პრაქტიკის ობიექტებზე მოხდა გასაუბრება. მათ ჰყავთ გამოცდილი სპეციალისტები, ექთნები, რომლებსაც წინა პროგრამებზეც აქვთ მიღებული მონაწილეობა და საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ შეძენილი, როგორც სასწავლო კუთხით, ასევე თეორიულ სფეროში მუშაობის გამოცდილებით. პროგრამას ხელმძღვანელობს ძალიან გამოცდილი ადამიანი, რომელსაც აქვს თითქმის 30 წლის გამოცდილება თავის სფეროში. ასევე სხვა პრაქტიკის ობიექტებსაც ჰყავთ გამოცდილი სპეციალისტები, რომლებიც იმუშავებენ სტუდენტებთან. ხარისხის მექანიზმები იგივეა, ვერიფიკაციის გამოცდილება აქვს პროგრამის ხელმძღვანელს და აქტიურად იყო ჩართული ამ პროცესში.

ექსპერტებს ჰქონდათ ორი ტიპის განმავითარებელი რეკომენდაცია, იგივე, რაც წინა პროგრამის შემთხვევაში. წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულება აქაც ზუსტად იგივეა. შემდეგ ექსპერტმა, თამარ რემიშვილმა წარმოადგინა ფოტომასალა, მათ შორის სასწავლო რესურსი, სასწავლო სიმულაციის გარემო და სასწავლო გარემოს ფოტო.

შორენა ჯაფარიძემ იკითხა, აქვს თუ არა დაწესებულებას ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგია და არის თუ არა გათვლილი ამ მეთოდოლოგიით აუდიტორიაში სტუდენტების განთავსება. კოლეჯის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულებას აქვს აღნიშნული მეთოდოლოგია და იქ ნათლად არის გაწერილი, რომ პროგრამა არის სამწლიანი და ის ზღვრული რაოდენობა, რასაც კოლეჯი ითხოვს - 90 სტუდენტი, არის სამ წელზე გადანაწილებული. შესაბამისად, წლიურად აპირებს 30 სტუდენტის მიღებას.

საბჭომ ისარგებლა სათათბირო დროით, რადგან საბჭოს სხდომაზე დიდხანს გაგრძელდა მსჯელობა აუდიტორიაში სტუდენტთა ადგილების თაობაზე. საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ იმსჯელეს იმ არგუმენტებზე, რაც საბჭოს მიმდინარეობისას იქნა მოსმენილი, კონკრეტულად ამ პროგრამაზე და ადგილების დათვლის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით და კენჭისყრამდე უნდა გააჟღეროს, რომ ისურვებდა, ექსპერტების დასკვნა და ასევე დაწესებულების დამოკიდებულება იყოს უფრო მკაფიო. მისი თქმით, საბჭო რეკომენდაციას აძლევს დაწესებულებას, უკეთესად გაწეროს მეთოდოლოგია საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებებს მოუწოდა, მსგავს საკითხებთან დაკავშირებით გამოიჩინონ მეტი ყურადღება.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობების გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,
შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს (ს/კ: 202066405) დანართით განსაზღვრულ „საექთნო განათლების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 90-ით **(დანართი 5).**
გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

6.შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

პრეზენტაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე ქეთევან ბოტკოველმა წარმოადგინა. ექსპერტის თქმით,ავტორიზაციის საბჭომ 2019 წლის 14 ივნისის N125 გადაწყვეტილებით, დაწესებულებას სხვა პროგრამებთან ერთად მიანიჭა ქ. თბილისში ,,ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამის

განხორციელების უფლება და პროფესიულ სტუდენტთა ზღვული რაოდენობა განესაზღვრა 60-ით. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში, იმ პერიოდში გაიცა ორი რეკომენდაცია. ერთი რეკომენდაცია იყო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ სასწავლო გეგმაში გასწორებულიყო მოდული ,,ბიოქიმიის წინაპირობები“, რაც შესრულებულია და მეორე რეკომენდაცია იყო, რომ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია მოყვანილი ყოფილიყო შესაბამისობაში ჩარჩო დოკუმენტთან და ესეც გათვალისწინებულია. როგორც ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, ხარვეზები არ დაფიქსირებულა. რაც შეეხება დასაბუთებას, კოლეჯმა წარმოადგინა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განსაზღვრასთან დაკავშირებული დასაბუთება. დღევანდელი მონაცემებით, ამ პროგრამაზე ჩარიცხული იყო 48 პროფესიული სტუდენტი, თუმცა ახალი მიღებისთვის დარეგისტრირებულია 77 აპლიკანტი. გაზრდილი მაჩვენებელი გახდა მთავარი მამოტივირებელი კოლეჯისთვის, მოეთხოვა ზღვრული რაოდენობის 120-მდე გაზრდა. კოლეჯი წლების განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობს ფარმაცევტულ კომპანიასთან ,,გეფა“, სადაც არა მარტო მათი კურსდამთავრებულები საქმდებიან, არამედ პროფესიული სტუდენტებიც სწავლის პროცესში, 4 საათიანი სამუშაო გრაფიკით, რათა ხელი არ შეეშალოთ სწავლაში. ექსპერტები ესაუბრნენ კომპანიის წარმომადგენელს, რომელმაც დაადასტურა სტუდენტების მათთან მუშაობა და თქვა, რომ ისინი მაქსიმალურად უწყობენ სტუდენტებს ხელს, რომ 4 საათიანი სამუშაო გრაფიკი ჰქონდეთ. დასაბუთებაში წარმოდგენილია ასევე პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური მონაცემები, რომელიც ასე გამოიყურება: 2018 წლის 17 კურსდამთავრებულიდან 13 დასაქმებულია, 2019 წლის 16 კურსდამთავრებულიდან 10 დასაქმებულია.

კოლეჯს გაფორმებული აქვს კომპანიასთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია მხარეთა ერთობლივი სქმიანობით კოლეჯის ფარმაცევტული საქმიანობის სტუდენტებისათვის ხელშეწყობა. კოლეჯისა და კომპანიის ერთობლივი საქმიანობის დრო და მოცულობა განისაზღვრება 5 შეთანხმების საფუძველზე, რომლის თანახმად, დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის 8 მოდულის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. ეს არის უდიდესი კომპანია, სადაც შედის „ფარმადეპოს“ და „ჯიპისის“ 300-მდე აფთიაქი. მათ შორის 200 თბილისშია განთავსებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია დაინტერესებულია კვალიფიციური კადრებით და აქედან გამომდინარე, სრულ მზადყოფნას გამოთქვამს, მონაწილეობა მიიღოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში. კომპანიის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ისინი კარგად იცნობენ მოდულებს და კონკრეტული მოდულების განხორციელების პერიოდში აქტიურად ითანამშრომლებენ კოლეჯის შესაბამის პირებთან კონკრეტული შედეგების განხორციელების თაობაზე, ხელს შეუწყობენ სტუდენტებს აფთიაქების შერჩევაში და დროის მენეჯმენტში. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის მიხედვით, ზღვრული რაოდენობის გაზრდისთვის მხედველობაში მიიღება A, B, C გარემო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სპეციფიკიდან გამომდინარე, მხედველობაში მიიღება ასევე პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე. იმ შემთხვევაში, როცა ერთი და იგივე გარემო რამდენიმე პროგრამისთვის გამოიყენება, A, B, C გარემოს დატვირთვის რესურსი ნაწილდება ყველა პროგრამაზე. კვოტის განსაზღვრის მეთოდოლოგიას ასევე თან ერთვის A, B, C გარემოს ცხრილები, პროგრამის მოდულების მიხედვით, საიდანაც ჩანს, რომ სასწავლო გარემოების რეალური დატვირთვის სურათი არ აღემატება მის გამტარუნარიანობას. შემდეგ ექსპერტმა წარმოადგინა ამ აუდიტორიების ფოტოები და აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო გარემოში. სპეციფიკის გათვალისწინებით, სრულადაა დაცული უსაფრთხოების ნორმები ლაბორატორიაში, სადაც დამონტაჟებულია გამწოვი კარადა, დამზადებულია მყარი მასალისაგან კარადები და მაგიდები. დაწესებულების მიერ

შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებულია სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი, სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალების გამოყენების და ნარჩენების მართვის წესი. კოლეჯის დებულების მუხლი N60-ის მიხედვით, განსაზღვრულია უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმები. კოლეჯი აყვანილია ცენტრალიზებული მართვის სიტემაზე. დაწესებულებას აქვს შენობის მთელ პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეო ჩანაწერის შენახვის ფუნქციით სათვალთვალო კამერები. კოლეჯში თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, აღჭურვილია შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრით და ყველა თავისი კომპონენტით. კოლეჯის შენობაში არსებობს სპეციალური დახმარების სივრცე, სადაც ინახება პირველადი დახმარებისათვის საჭირო ინვენტარი და პირველად დახმარებას უზრუნველყოფს კოლეჯის სამეურნეო საქმიანობის და შრომის უსაფრთხოების მენეჯერი. ექსპერტმა ასევე წარმოადგინა ფოტოები, რაც ადასტურებს სსსმ პირების ხელმისაწვდომ გარემოსაც. პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 16 განმახორციელებელი მასწავლებელი, პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც კოლეჯის მარეგულირებელი წესის მიხედვით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით არის დანიშნული და განსაზღვრულია მისი ფუნქცია-მოვალეობებიც.

ექსპერტთა შეფასებით, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროგრამისთვის განსაზღვრული განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა და სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვა და სხვა მნიშვნელოვანი აქტივობები, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, მონაწილეობა მათი ვალიდაციის პროცესში, პროფესიულ სტუდენტთა ნაშრომების შეფასება, პროგრამის ხელმძღვანელობა, ზოგ შემთხვევაში მონაწილეობა საკუთარი პროფესიული განვითარების ღონისძიებებში - ნაწილი საკითხებისა გაწერილია კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებში და ნაწილი დარეგულირებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებთან დადებულ შრომის/მომსახურეობის ხელშეკრულებაში, ეს ყველაფერი გათვლისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო დატვირთვაში.

კოლეჯს აქვს ბიბლიოთეკა, რაც სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. კოლეჯის ბიბლიოთეკის ბეჭდვითი და ელექტრონული წიგნადი ფონდი მოიცავს სულ 1165 ერთეულს, რომელთა შორის არის ყველა ის წიგნი და რესურსი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამების მოდულებშია მითითებული. ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, მასში განთავსებულია კომბაინი და ინტერნეტის ქსელში ჩართული და ადეკვატური პროგრამული უზრუნველყოფის მქონე 3 კომპიუტერი, რომლითაც სარგებლობა შესაძლებელია შეუზღუდავად. კოლეჯს ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც სრულად აკმაყოფილება მარეგულირებელი დებულებით განსაზღვრულ ბიბლიოთეკარის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ამ ეტაპამდე კოლეჯს არ ჰყოლია სსსმ პირები, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი გამოთქვამს მზადყოფნას მათი მომსახურებისთვის. ექსპერტთა შეფასებით, კოლეჯში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. კოლეჯის ადმინისტრაცია სსსმ და შშმ პირების შეუფერხებელი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფის მიზნით - მოახდენს შესაბამისი მატერიალური, ადამიანური, ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო რესურსებით პროფესიული სტუდენტის მხარდაჭერას.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს და დირექტორის 2018 წლის 30 ნოემბრის N43 ბრძანებით დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის ხარისხის უზრუნველყოფის

მექანიზმები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების მიზანია ხარისხის უზრუნველყოფის როგორც პროცესის დაგეგმვა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგის და შეფასების მიზნით. ხარისხის შეფასების ციკლი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება. ექსპერტთა შეფასებით, „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ გამოცდილებას. დოკუმენტის გაცნობის და ხარისხის მენეჯერთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კოლეჯში განსაზღვრულია ჩასატარებელი ღონისძიებების სიხშირე, კრიტერიუმები და განმახორციელებლები. განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, რესურსები, ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები, რომლის შედეგებსაც დაწესებულება იყენებს მართვის პროცესების ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ დოკუმენტის შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს და ვებგვერდზეა განთავსებული 2020-2025 წლის ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგია. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას. განხორციელება მოიცავს ძირითად და დამხმარე პროცესებს: სტუდენტების მიღება/ჩართვა სასწავლო პროცესში; სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის მონიტორინგი; პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტების/დამსაქმებლების უკუკავშირი; კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა (დასაქმება/ხელშეწყობა და შემდგომი კავშირი); პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება/ტრენინგები; მატერიალური რესურსების გაუმჯობესება/სრულყოფა; კომუნიკაცია; ფინანსური რესურსები. სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მიმდინარეობის მონიტორინგისა და შეფასების მთავარი მიზანია, გამოავლინოს პროგრამების შემუშავება/დანერგვაში არსებული გამოწვევები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. ამ პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელია კოლეჯის პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლის და ადმინისტრაციის სრული ჩართულობა. ხარისხის მართვის მენეჯერი ახორციელებს სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს, რაც გამოიხატება ადმინისტრაციული პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის/პროფესიული განათლების მასწავლებლების, პრაქტიკის ბაზების/პოტენციური დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების რეგულარულ გამოკითხვაში. ასევე, მონიტორინგსა და შეფასებას ექვემდებარება კოლეჯის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ შედგენილი ანგარიშები და განხორციელებული აქტივობები (განხორციელებული შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ). ხარისხის მართვის მენეჯერის ვალდებულებაა, გააანალიზოს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები და პროცესის გაუმჯობესების თაობაზე რეკომენდაციები გადასცეს დაწესებულების დირექტორს რეაგირებისათვის. პროცესების შესაბამისობის დასადგენად კოლეჯში გამოიყენება სპეციალური ფორმები. დაწესებულებაში შემუშავებულია ონლაინ კითხვარები: პერსონალის კითხვარი, პროფესიული სტუდენტის კითხვარი ფორმალურ გარემოში სწავლების შესაფასებლად/პროფესიულ სტუდენტთა კითხვარი დისტანციური სწავლების შემთხვევაში, პროგრამის განმახორციელებელი პირის/პროფესიული განათლების მასწავლებლის კითვარი ფორმალურ გარემოში სწავლების შესაფასებლად.

პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია (სააფთიაქო)“ განსახორციელებლად კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მიერ შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომელშიც დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები. გეგმის თანახმად, სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 სთ-ს. გეგმის თანახმად, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობაა - 22 სასწავლო თვე (83 სასწავლო კვირა), ხოლო იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა 28 სასწავლო თვეა (103 სასწავლო

კვირა). სასწავლო გეგმით არ არის განსაზღვრული ვადა განმეორებითი შეფასებისათვის, თუმცა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით განსაზღვრულია შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მოდულის გადაბარების წესი. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული სტუდენტი არ ეთანხმება შეფასებას, მოქმედებს პროფესიული სტუდენტის გასაჩივრების/აპელაციის წესი. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია, შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად შეფასების შემთხვევაში, შეფასების გაცნობიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს სასწავლო პროცესის მართვის მთავარ სპეციალისტს წერილობით და მოითხოვოს შეფასების გადასინჯვა. დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის 2020 წლის 8 ივნისის N24 ბრძანებით დამტკიცებული აქვს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი განასკერტელის შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. შეფასების სისტემის წესები განსაზღვრულია კოლეჯის დებულებითაც.

ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს ორი განმავითარებელი რეკომენდაცია:
1. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია მარეგულირებელ დოკუმენტებში დუბლირებული ერთი და იგივე მექანიზმების გამიჯვნასთან დაკავშირებით. ეს დოკუმენტებია: „საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება“ და „შეფასების სისტემა და მისი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“. ექსპერტთა შეფასებით, სხვადასხვა დოკუმენტებში
გაწერილი ერთიდაიგივე მექანიზმები არაეფექტურია პროცესების ადმინისტრირებისთვის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ ექსპერტებს.
2. რამდენიმე მოდულის განხორციელებისთვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება მინიმუმ ორ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელ პესონალთან გაფორმებულ მომსახურების ხელშეკრულებებში გაკეთდეს დამატებითი ჩანაწერი, რომ პროფესიულ მასწავლებელს ანაზღაურება მიეცემა მოდულით განსაზღვრული საათების ჩატარების შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ერთ მიღებაზე რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებს კოლეჯი, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ დაახლოებით 70 სტუდენტის მიღებას გეგმავენ და სამწლიანია პროგრამა და ორ ცვლაში აპირებენ მუშაობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელისთვის „ფარმაციის (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობების გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად,

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს (ს/კ: 202066405) დანართით განსაზღვრულ „ფარმაციის (სააფთიაქო)“ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 120-ით **(დანართი 6).** გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 16:25 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	81
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	96

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ. №44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	57
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	72

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	საოფისე საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0415
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, გ. ზაზიშვილის ქ. №1
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	20
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	20
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	112
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	142
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	89

დანართი 5

საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საექთნო განათლება (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში 0913	180	210	ქართული	90	ქ. თბილისი, ზაზიშვილის ქ. №1

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).

დანართი 6

საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების დონე / საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ფარმაცია (სააფთიაქო) (1)	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში 0916	123	153	ქართული	120	ქ. თბილისი, ზაზიშვილის ქ. №1

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).